



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

უმაღლესი სამედიცინო აკადემიური განათლების I საფეხურის პროგრამა

სამკურნალო საქმე

1. **პროგრამის დასახელება:** სამკურნალო საქმე
2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** დიპლომირებული მედიკოსი (**Medical Doctor**)
3. **პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების დასახელება:** მედიცინის ფაკულტეტი (სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტი)
4. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**
 - **პროგრამის ძირითადი მიზანია** – მოამზადოს ზოგადი პროფილის დიპლომირებული მედიკოსი, რომელსაც ექნება სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობისათვის საჭირო კლინიკური უნარ-ჩვევები.
 - **შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:** უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე დიპლომირებული მედიკოსის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ფუნდამენტური სამედიცინო დისციპლინების სიღრმისეულ შესწავლას, აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:
 - 1) ავადმყოფის გასინჯვა, წინასწარი კლინიკური და საბოლოო დიაგნოზის დასმა; ადეკვატური მკურნალობის დანიშვნა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ალგორითმის შემუშავება;
 - 2) დამოუკიდებლად მარტივი ქირურგიული მანიპულაციების განხორციელება;
 - 3) პროფილაქტიკური, ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება;
 - 4) ექსტრემალურ პირობებში მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
 - 5) სამკურნალო-დიაგნოსტიკური აპარატურის გამოყენება და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია;
 - 6) სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება;
 - 7) უწყვეტი სამედიცინო თვითგანათლების წარმართვა.
 - **დასაქმების სფეროები**
 - ❖ სხვადასხვა ტიპის სამკურნალო – პროფილაქტიკური დაწესებულებები;
 - ❖ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრები;
 - ❖ თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში არსებული ჰოსპიტლები;
 - ❖ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა სექტორები;
 - ❖ ორგანიზაციები; რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან;
 - ❖ ნაციონალური და საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიები.
5. **პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** აბიტურიენტის განათლების წინამორბედი დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს, ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (სახელმწიფოებს შორის) შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.
6. **პროგრამის სტრუქტურა**

დასწრებული სწავლების ფორმით დიპლომირებული მედიკოსის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება **6 წლით** და ითვალისწინებს **360 კრედიტის** დაგროვებას. კურიკულუმი აგებულია 12 სემესტრზე (15–15 კვირა). მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 22 სთ–ს.

პროგრამის სტრუქტურა

პრეკლინიკური ციკლი (I–VI სემესტრი)

№	კურსი	სკ	ლ/ პრ/ ს/ლაზ	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები						წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	
პროგრამის პრეკლინიკური კურსები (180 კრედიტი)											
1	ზოგადი და არაორგანული ქიმია	3	1.0.0.2	4	4						
2	სამედიცინო ფიზიკა	3,5	1,5.2.0.0	5	5						
3	სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია –1	4	2.2.0.0	5	5						
4	მიკროსკოპული ანატომია (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია) –1	4	2.2.0.0	6	6						
5	მაკროსკოპული ანატომია (ადამიანის ნორმალური ანატომია) –1	6	2.4.0.0	8	8						
6	ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია –1	1,5	0.1,5.0.0	2	2						
7	ორგანული ქიმია	3	1.0.0.2	4		4					
8	ბიოფიზიკა	2	1.1.0.0	3		3					
9	სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია –2	3,5	1,5.2.0.0	5		5					
10	მიკროსკოპული ანატომია (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია) –2	4	2.2.0.0	6		6					
11	მაკროსკოპული ანატომია (ადამიანის ნორმალური ანატომია) –2	5	2.3.0.0	7		7					
12	ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია –2	1,5	0.1,5.0.0	2		2					
13	მათემატიკის და სტატისტიკის მეთოდები მედიცინაში	3	1.2.0.0	3		3					
14	ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია –1	5	2.3.0.0	6			6				
15	პათოლოგიური ანატომია –1	4	2.2.0.0	5			5				
16	ბიოქიმია –1	3	1.0.0.2	4			4				
17	ფიზიოლოგია –1	4	2.2.0.0	5			5				
18	მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია –1	3	1.2.0.0	5			5				
19	უცხო ენა –1	3	0.3.0.0	5			5				
20	ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია –2	5	2.3.0.0	6				6			
21	პათოლოგიური ანატომია –2	4	2.2.0.0	5				5			
22	ბიოქიმია –2	3	1.0.0.2	4				4			
23	ფიზიოლოგია –2	3	1.2.0.0	4				4			
24	მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია –2	4	2.2.0.0	6				6			
25	უცხო ენა –2	3	0.3.0.0	5				5			
26	არჩევითი კურსი*	3	1.2.0.0	5					5		

27	ზოგადი ჰიგიენა	3	1.2.0.0	4					4	
28	შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი – 1	4	2.2.0.0	6					6	
29	პათოლოგიური ფიზიოლოგია –1	3	1.2.0.0	5					5	
30	ფარმაკოლოგია –1	3	1.2.0.0	4					4	
31	ზოგადი ქირურგია –1	4	1.3.0.0	4					4	
32	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი –1	2	1.1.0.0	2					2	
33	შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი – 2	6	2.4.0.0	6					6	
34	პათოლოგიური ფიზიოლოგია –2	4	2.2.0.0	5					5	
35	ფარმაკოლოგია –2	4	2.2.0.0	5					5	
36	ზოგადი ქირურგია –2	4	1.3.0.0	5					5	
37	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი –2	2	1.1.0.0	2					2	
38	დერმატოვენეროლოგია –1	2	1.1.0.0	3					3	
39	საექთნო პრაქტიკა	–	–	4					4	
პროგრამის არჩევითი კურსები (5 კრედიტი - 2 კურსი)										
1	არჩევითი კურსი - 1	2	2.0.0.0	2,5					2,5	
1.1	ეკოლოგია									
1.2	ბიოეთიკა									
2	არჩევითი კურსი - 2	2	2.0.0.0	2,5					2,5	
2.1	ფილოსოფია									
2.2	პოლიტოლოგია									
2.3	საქართველოს ისტორია									
				სულ	180	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ – საათი კვირაში, ლ/ პრ/ ს /ლაზ – ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

კლინიკური ციკლი (VII – XII სემესტრი)

№	კურსი	კურსების რაოდენობა	ლ/პრ	კრედიტების რაოდენობა	სემესტრები						წინაპირობა
					VII	VIII	IX	X	XI	XII	
პროგრამის კლინიკური კურსები (180 კრედიტი)											
40	დერმატოვენეროლოგია –2	7	7/21	2	2						
41	ოტორინოლარინგოლოგია	10	10/30	4	4						
42	საფაკულტეტო თერაპია –1	20	20/60	8	8						
43	საფაკულტეტო ქირურგია –1	10	10/30	4	4						
44	მეანობა–გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –1	8	8/24	3	3						
45	ნევროლოგია –1	10	10/30	4	4						
46	ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია –1	10	10/30	5	5						
47	საფაკულტეტო თერაპია –2	15	15/45	6		6					
48	საფაკულტეტო ქირურგია –2	15	15/45	6		6					
49	მეანობა–გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –2	8	8/24	3		3					
50	ნევროლოგია –2	10	10/30	4		4					
51	ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია –2	15	15/45	6		6					
52	სამედიცინო დონტოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია–1	7	7/21	3		3					
53	სტომატოლოგია	5	5/15	2		2					
54	სექციის კურსი	5	5/15	2			2				
55	სამედიცინო დონტოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია –2	5	5/15	2			2				
56	რენტგენოლოგია	5	5/15	2			2				
57	ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია –3	5	5/15	2			2				
58	ჰოსპიტალური თერაპია –1	10	10/30	4			4				
59	ჰოსპიტალური ქირურგია (ტრავმატოლოგია–ორთოპედია, ბავშვთა ქირურგია, ნეიროქირურგია) –1	15	15/45	6			6				
60	ინფექციური სნეულეზანი –1	10	10/30	4			4				
61	მეანობა–გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –3	10	10/30	4			4				
62	ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია –1	10	10/30	4			4				
63	ჰოსპიტალური თერაპია –2	7	7/21	3				3			
64	ჰოსპიტალური ქირურგია (ტრავმატოლოგია–ორთოპედია, ბავშვთა ქირურგია, ნეიროქირურგია) –2	15	15/45	5				5			
65	ინფექციური სნეულეზანი –2	7	7/21	3				3			
66	მეანობა–გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –4	10	10/30	3				3			
67	ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია –2	10	10/30	3				3			
68	უროლოგია	10	10/30	4				4			

69	სასამართლო მედიცინა	10	10/30	4				4			
70	ჰემატოლოგია	6	6/18	2				2			
71	საექიმო პრაქტიკა	–	–	3				3			
72	კლინიკური გერიატრია	5	5/15	2					2		
73	ანესთეზიოლოგია– რეანიმაცია	15	15/45	6					6		
74	ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა	10	10/30	4					4		
75	ონკოლოგია, სხივური დიაგნოსტიკა და რადიოთერაპია	15	15/45	6					6		
76	ოფთალმოლოგია	10	10/30	4					4		
77	კლინიკური ფარმაცოლოგია, ტოქსიკოლოგია –1	10	10/30	4					4		
78	კლინიკური თერაპია –1	10	10/30	4					4		
79	კლინიკური ფარმაცოლოგია, ტოქსიკოლოგია –2	10	10/30	4						4	
80	კლინიკური თერაპია –2	15	15/45	6						6	
81	პოლიკლინიკა და საოჯახო მედიცინა	10	10/30	4						4	
82	ექიმის მოღვაწეობის იურდიული საფუძვლები	5	5/15	2						2	
83	ლაბორატორიული მედიცინა	10	10/30	4						4	
84	ინტენსიური პრაქტიკული ბლოკ–კურსი: ქირურგია, მენობა–გინეკოლოგია	25	25/75	10						10	
			სულ	180	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ – საათი კვირაში, ლ/პრ – ლექცია/პრაქტიკული

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები

NCB0210 ზოგადი და არაორგანული ქიმია (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სტექიომეტრული კანონები; ატომის კვანტურ-მექანიკური მოდელი; ატომის ელექტრონული გარსები და პერიოდულობის კანონი; ქიმიური ბმის ბუნება და ქიმიური ნაერთების აღნაგობა; კომპლექსური ნაერთები, ქიმიური და ბიოქიმიური კინეტიკა; ზოგადი წარმოდგენა ხსნარებზე და მათი თვისებების შესახებ. იდეალური ხსნარები; ქიმიური რეაქციები და წონასწორობა; ელექტროლიტთა ხსნარებში მჟავებისა და ფუძეების თეორიები, ელემენტების ქიმია და ა. შ.. ზოგადი და არაორგანული ქიმიის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სტრუქტურების მიერ ნაერთების თვისებებსა და აღნაგობას შორის დამოკიდებულების ახსნას, ექსპერიმენტების ჩატარების და ექსპერიმენტული მონაცემების გაფორმების გამომუშავების უნარს.

NCB0380 ორგანული ქიმია-1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ორგანულ ნაერთთა ქიმიური ქცევის კანონზომიერებები; ორგანულ ნაერთთა სივრცითი აღნაგობა; მჟავიანობა და ფუძიანობა; ორგანულ რეაქციათა ელექტრონული მექანიზმები; არომატული ნაერთები; ამინომჟავები; ცილები; ცხიმები; ნახშირწყლები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NCB0210 – ზოგადი და არაორგანული ქიმია.**

NCB0430 ორგანული ქიმია-2 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არომატული ნაერთები, ცნება არომატულობის შესახებ; ბენზოლის მსგავსი არომატული სისტემები; არომატული სპირტები, ჰალოგენაწარმები, კეტონები, ალდეჰიდები; არომატული ჰეტეროფუნქციონალური ნაწარმები: პიროლი, ფურანი, თიოფენი; ორი ჰეტეროატომის შემცველი ექვსწევრიანი ჰეტეროციკლები (პირიმიდინი, პირაზინი); ფარმაკოლოგიურად აქტიური ორგანული ნაერთების სინთეზის რენტაბელური სქემები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NCB0380 – ორგანული ქიმია-1.**

NFB0190 სამედიცინო ფიზიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამედიცინო ფიზიკის საგანი, მისი მნიშვნელობა მედიცინისათვის; ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ფიზიკის კანონებთან კავშირის საფუძველზე იმ მოვლენათა სივრცეში და დროში ახსნა რომლებიც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში. ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონალური შეფასება მექანიკის, აკუსტიკის, სითბური და მოლეკულური ფიზიკის, ელექტრობისა და მაგნეტიზმის, ოპტიკის, ატომური ფიზიკის კანონების გამოყენებით; ფიზიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენება სხვადასხვა დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის (ექოსკოპია, ლაზერული თერაპია, ლაზერული ქირურგია, ნიშანდებულ ატომთა მეთოდით ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და სხვა).

NFB0030 ბიოფიზიკა (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: უჯრედული პროცესები, მემბრანების ბიოფიზიკა; ბიოელექტრონული პოტენციალები; ბიოსფერო და ფიზიკური ველები; კვანტური ბიოფიზიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკურ სტატისტიკა; სამედიცინო მეტროლოგია და ელექტრონიკა; ფოტომედიცინა; ავტოტალური დოზიმეტრია, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე ბიოფიზიკური მეთოდები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NFB0190 – სამედიცინო ფიზიკა.**

NBB0650 სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია-1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ცოცხალი სისტემები, ორგანული სამყაროს მრავალფეროვნება; ცოცხალი სისტემის სტრუქტურა; ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ძირითადი კანონზომიერებები მოლეკულურ, უჯრედულ, პოპულაციურ და ეკოსისტემურ დონეზე; სიცოცხლის უჯრედული ფორმები; პროკარიოტები და ეუკარიოტები; ეუკარიოტული უჯრედის სტრუქტურულ ფუნქციური ორგანიზაცია; ტრანსპორტის სახეები;

უჯრედის სასიცოცხლო ციკლი, მისი პერიოდიზაცია: მიტოზი, ამიტოზი, ენდომიტოზი, პოლიტენია; სქესობრივი და უსქესო გამრავლება; გამეტოგენეზი, სასქესო რითმი და მისი ჰორმონალური რეგულაცია; მეიოზი, ადამიანის რეპროდუქციის თავისებურებები; განაყოფიერება, მისი ბიოლოგიური არსი; ხელოვნური განაყოფიერება, პართენოგენეზი; ონტოგენეზი, პოსტემბრიონალური ონტოგენეზის სტადიები; რეგენერაცია და ა.შ.

NBB0680 სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია–2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჰომეოსტაზური რეაქციების გენეტიკური, უჯრედული და სისტემური საფუძვლები; მემკვიდრეობა და ცვალებადობა; გენების კლასიფიკაცია, ურთიერთქმედება; ცვალებადობის ფორმები; მონოგენური დაავადებები და სინდრომები; გენური ინჟინერია, ბიოტექნოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები; ორგანოთა სისტემების ფილოგენეზი ხერხემლიანებში; პარაზიტების ცირკულაცია ბუნებაში, რეზერვუარი და გადამტანი; გამომწვევის ტრანსოვარიალური გადაცემა; პარაზიტული დაავადებების კლასიფიკაცია; ინვაზიური და ინფექციური დაავადებები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NBB0650 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია–1.

NBB0630 მაკროსკოპული ანატომია–1 (8 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადამიანის ანატომიის შესწავლის მეთოდები; საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი: ოსტეოლოგია, ართროლოგია, მიოლოგია; სწავლება შინაგან ორგანოებზე: საჭმლის მომნელებელი სისტემის განხილვა, გამომყოფი სისტემის განხილვა, ქალისა და მამაკაცის სასქესო სისტემის აგებულება, სასუნთქი სისტემის განხილვა, ენდოკრინული სისტემა. ნიროჰუმორალური რეგულაციის მნიშვნელობა.

NBB0660 მაკროსკოპული ანატომია–2 (7 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სწავლება სისხლძარღვებზე-ანგიოლოგია; გულის აგებულების ტოპოგრაფიის და ფუნქციების განხილვა; სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრის ელემენტები. ლიმფური სისტემა. სისხლმზადი და იმუნური სისტემის ორგანოები; სწავლება ნერვულ სისტემაზე-ნევროლოგია; ცენტრალური ნერვული სისტემა და მათგან გამომავალი პერიფერიული ნერვები; ვეგეტატიური ნერვული სისტემის აგებულება; გრძნობათა ორგანოები, მათი მნიშვნელობა. **კურსის შესწავლის წინა პირობები:** NBB0630 – მაკროსკოპული ანატომია–1.

HAB0350 ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია–1 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლათინური ანბანი, ხმოვანთა და თანხმომავანთა გამოთქმის წესი, დიფთონგები, დიგრაფები; არსებითი სახელი, ხუთი ბრუნების ზოგადი მიმოხილვა, არსებითი სახელის სალექსიკონო ფორმა, შეთანხმებული მსაზღვრელი; ანატომიური ტერმინის სტრუქტურა; სიტყვათწარმოება, ზედსართავი სახელის ძირითადი სუფიქსები, ზმნის უღლება, ზმნის სალექსიკონო ფორმა, ბრძანებითი კილო; აწმყო დროის თხრობითი კილო, მოქმედებითი და ვნებითი გვარი; ზმნის უღლების სპეციფიკა.

HAB0360 ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია–2 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამკურნალო მცენარეების ლათინური სახელწოდებები; ფარმაცევტული და სამედიცინო ტერმინები; რეცეპტის გამოწერის წესები, შემოკლებები რეცეპტში, რეცეპტის ნიმუშები; ქიმიური ნომენკლატურა: მარილების, ოქსიდების, მჟავების, მედიკამენტების სახელწოდებანი; ლათინური ხატოვანი სიტყვა–თქმანი მედიცინის უმაღლესი დანიშნულების, დიაგნოსტიკის, ხელოვნების, ჰიგიენისა და ფიზიკულტურის სარგებლობის შესახებ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** HAB0350 – ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია–1.

NBB0640 მიკროსკოპული ანატომია-1 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჰისტოლოგიური კვლევის მეთოდები: სინათლის მიკროსკოპი, ელექტრონული მიკროსკოპი, მასკანირებული ელექტრონული მიკროსკოპი, ავტორადიოგრაფია; ცოცხალი უჯრედების და ქსოვილების შესწავლა; ციტოქიმიკა, ჰისტოქიმიკა, იმუნოქიმიკა. უჯრედი-პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, მიტოქონდრია, რიბოსომა, ენდოპლაზმური ბადე, გოლჯის აპარატი. ლიზოსომები, პეროქსისომები, ციტოჩონჩხი, უჯრედული ტრანსპორტი, ციტოპლაზმური ჩანართები. ბირთვი, უჯრედის გაყოფა; ადამიანის ემბრიოლოგიის საფუძვლები - გამეტოგენეზი, განაყოფიერება, ზიგოტის დაყოფა. ბლასტოცისტას წარმოქმნა, ემბრიონალური განვითარების მე-2, მე-3 მე-4, მე-5-7 კვირა; უჯრედთა ინტეგრაცია ქსოვილებში; ეპითელიური ქსოვილი, უჯრედშორისი კავშირები, ეპითელიური ქსოვილის ტიპები, ჯირკვლოვანი ეპითელიუმი. შემაერთებელი ქსოვილი, ცხიმოვანი ქსოვილი, ხრტილოვანი ქსოვილი, ძვლოვანი ქსოვილი, კუნთოვანი ქსოვილი. ნერვული ქსოვილი.

NBB0670 მიკროსკოპული ანატომია-2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნერვული სისტემა-ცენტრალური ნერვული სისტემა, პერიფერიული ნერვული სისტემა, ნერვული სისტემის განვითარება. გულ-სისხლძარღვთა სისტემა, სისხლძარღვების ორგანიზაციის ძირითადი გეგმა არტერიები, კაპილარები, ვენები. ლიმფურ ძარღვთა სისტემა, გული. სისხლი, ჰემოპოეზი - სისხლის წარმოქმნა, ძვლის ტვინი; იმუნური სისტემა და ლიმფოიდური ორგანოები. ენდოკრინული სისტემა; საჭმლის მომწელებელი სისტემა; გამომყოფი სისტემა. სასუნთქი სისტემა. კანი; მამაკაცის სასქესო სისტემა; ქალის სასქესო სისტემა; გრძნობათა ორგანოები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0640 – მიკროსკოპული ანატომია-1.**

NMB0380 მათემატიკის და სტატისტიკის მეთოდები მედიცინაში (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ალბათობის თეორია; მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი ცნებები; შემთხვევითი სიდიდეების განაწილების სახეები; შემთხვევითი მოვლენების ალბათური კანონზომიერების დადგენის პარამეტრული და არაპარამეტრული ჰიპოთეზათა შემოწმების ხერხები.

MCB0750 ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია – I (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქირურგიული ოპერაცია, გაუტკივარება, ადგილობრივი გაუტკივარება, ქირურგიული ხელსაწყოები და მათი ხმარების წესები; ქსოვილთა გაკვეთა, სისხლდენის შეჩერება ჭრილობაში, ჭრილობის გაკვეთვა, ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება. კანის პლასტიკა, ადგილობრივი ქსოვილების გადანაცვლებით, კანის ფეხიანი ნაფლეთის გადანერგვა, კანის თავისუფალი პლასტიკა, კანის თხელი ნაფლეთების გადანერგვა; კიდურთა ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება, ოპერაციები კიდურთა რბილი ქსოვილების ჩირქოვანი პროცესების დროს, განაკვეთები ზედა კიდურებზე, განაკვეთები ქვედა კიდურებზე; ოპერაციული მიდგომა კიდურების არტერიებთან, სისხლძარღვთა გადანასკვა, სისხლძარღვის გაკვეთვა, ოპერაციული მიდგომა კიდურების ნერვებთან, ოპერაციები მყესებსა და კუნთებზე; ამპუტაცია და ამოსახსვრა, ამპუტაციის თავისებურება ბავშვებში; ოპერაციები თავზე, გაუტკივარება, ინსტრუმენტები, თავის ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება, ქალის ტრეპანაცია, რეზექციული და ძვალ-პლასტიკური, დეკომპრესიული ტრეპანაცია, დვრილისებრი მორჩის ტრეპანაცია; ოპერაციები სახეზე, სახის ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება. განაკვეთები სახეზე ჩირქოვანი პროცესების დროს; **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.**

MCB0760 ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია-2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ოპერაციები კისერზე, განაკვეთები კისრის ორგანოებზე მიდგომისათვის, კისრის ჭრილობის ქირურგიული დამუშავება, განაკვეთები კისრის აბსცესებისა და ფლემონების დროს; ტრაქეოსტომია, ოპერაციები ფარისებრ ჯირკვალზე, ვაგოსიმპათიკური ბლოკადა, ოპერაციული მიდგომა კისრის არტერიებთან; ოპერაციები გულმკერდზე, განაკვეთები ჩირქოვანი მასტიტის დროს, სარძევე ჯირკვლის მოკვეთა-რადიკალური მასტექტომია; პლევრის ღრუს

პუნქცია და დრენირება, ნეკნთშუა ნერვების ბლოკადა, ნეკნის რეზექცია, ოპერაცია პნევმოთორაქსისა და ჰემოთორაქსის დროს, ოპერაციული მიდგომა გულმკერდის ღრუს ორგანოებთან, სეგმენტოქტომია, ლობექტომია, პნევმონექტომია, ფილტვის ატიპური რეზექცია, ბრონქებისა და ტრაქეის გაკვერვა, გულის პერანგის ჩხვლეტა, გულის ჭრილობის გაკვერვა, საყლაპავი მილის ექსტერპაცია კიბოს დროს (ოპერაციის ტექნიკა დობრომისლოვ-ტორევის მიხედვით), საყლაპავი მილის პლასტიკა; ოპერაციები მუცელზე, მუცლის თიაქრები, ოპერაციები საზარდულის თიაქრების დროს, ჭიპის თიაქარი, თეთრი ხაზის თიაქარი, მუცლის ღრუს ჩხვლეტა, განაკვეთები მუცლის ღრუს ორგანოებთან მიდგომისათვის, ლაპაროტომია, მუცლის ღრუს რევიზია, ნაწლავის ნაკერი, ოპერაციები კუჭზე, ოპერაციები წვრილ ნაწლავზე, ოპერაციები მსხვილ ნაწლავზე და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0750 – ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია – I.**

MCB0460 პათოლოგიური ანატომია–1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პათოლოგიური ანატომიის არსი და ამოცანები, პათოლოგიური ანატომიის ობიექტი, მასალა და მეთოდები. პათოლოგიური ანატომიის განვითარების ისტორია; დაზიანება, დაზიანების მექანიზმები და სახეები. შექცევადი და შეუქცევადი დაზიანებები, უჯრედის ორგანელების დაზიანება, მათი მორფოლოგიური გამოხატულებები, დაგროვების პათოლოგია. უჯრედის დაზიანება, აპოპტოზი. უჯრედშია სტრუქტურების დაზიანება (ჰიდრატაცია, ფიბრინოიდი, ჰიალინოზი, ამილოიდოზი), ნეკროზი; დისცირკულაციური პროცესები, წყლისა და ელექტროლიტების ბალანსის მოშლა, ჰიპერემია, სისხლნაკლებობა. სისხლის მიღების განვლადობის დარღვევა. სისხლის დინებისა და რეოლოგიური თვისებების შეცვლა, შოკი, ლიმფის მიმოქცევის მოშლა; ანთება, ზოგადი გამოხატულებანი, ანთების უჯრედული და მოლეკულური პროცესები. ანთების სახეები (მწვავე, ქრონიკული, გრანულომური), ანთების მორფოლოგიური გამოხატულებები; იმუნური სისტემის პათოლოგია, იმუნური სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია. ზემგრძნობელობის რეაქციები, ზემგრძნობელობის ავადმყოფობები; აუტოიმუნური ავადმყოფობები; იმუნოდეფიციტი; ამილოიდოზი; ადაპტაციური და კომპენსაციური პროცესები. რეგენერაცია, ჭრილობის შეხორცება, ატროფია, ჰიპერტროფია, მეტაპლაზია, ორგანიზაცია, სკლეროზი; სიმსივნეები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.**

MCB0460 პათოლოგიური ანატომია–2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლის სისტემის ავადმყოფობები; გულ–სისხლმილთა სისტემის ავადმყოფობები; შემაერთებელი ქსოვილის სისტემური ავადმყოფობები (რემატიზმიური ავადმყოფობები); სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობები; კუჭ–ნაწლავის ტრაქტის ავადმყოფობები; ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და პანკრეასის ავადმყოფობები; თირკმლების ავადმყოფობები; სასქესო ორგანოებისა და სარძევე ჯირკვლის ავადმყოფობები; შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ავადმყოფობები, ავითამინოზები; ძვალ–სახსართა სისტემის ავადმყოფობები; კუნთებისა და ნერვული სისტემის ავადმყოფობები; ვირუსული ინფექციები და რიკეციოზები; ბაქტერიული ინფექციები; მიკოზები, ოპორტუნისტული ინფექციები, უმარტივესებითა და ჰელმინთებით გამოწვეული ავადმყოფობები; პერინატალური პათოლოგია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0460 – პათოლოგიური ანატომია–1.**

NBB0700 ფიზიოლოგია–1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ორგანიზმი, ფუნქცია, ჰომეოსტაზი; აგზნებადი უჯრედების (ქსოვილების) ფიზიოლოგია; კუნთების ფიზიოლოგია; პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემების ფიზიოლოგია (ნერვი, სინაპსი, რეცეპტორები, ვეგეტატიური, ზურგისა და თავის ტვინის კერძო ფიზიოლოგია); სენსორული სისტემები, ადამიანის თავის ტვინის უმაღლესი ინტეგრაციული მოქმედება, ქცევის ფსიქოფიზიოლოგია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0650, NBB0680 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია: NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.**

NBB0720 ფიზიოლოგია–2 (4 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფუნქციების ჰორმონული რეგულაცია – შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფიზიოლოგიური მოქმედება; სისხლისა და სისხლის მიმოქცევის სისტემების ფიზიოლოგია; სუნთქვის, საჭმლის მომწელებელი და გამოყოფი სისტემების ფიზიოლოგია; ნივთიერებათა ცვლა, თერმორეგულაცია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0700 – ფიზიოლოგია–1.**

NBB0690 მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია–1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბაქტერიების მორფოლოგია, პათოგენური კოკები და ენტერობაქტერიები; სპორების წარმომქმნელი მიკროორგანიზმები; სპიროქეტების, რიკეტსიების და აქტინომიცეტების მორფოლოგიური თავისებურებები; პათოგენური სოკოები და უმარტივესები; ვირუსები; საკვები არე; მიკრობული ფერმენტები; მიკრობები–პროდუცენტები; მიკროორგანიზმების ცვალებადობა; ასეპტიკა, ანტიასეპტიკა, დეზინფექცია; წყლის მიკროფლორა, სანიტარული ანალიზის მეთოდები; ნიადაგის და ჰაერის მიკროფლორა; სამკურნალო ნედლეულის მიკროფლორა; სტერილური და არასტერილური სამკურნალო პრეპარატები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0650, NBB0680 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია; NBB0640, NBB0670 – მიკროსკოპული ანატომია; NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.**

NBB0710 მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია–2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინფექცია, ინფექციური სნეულებანი; პათოგენური მიკროორგანიზმები; ქიმიოთერაპიის ძირითადი პრინციპები; ანტიმიკრობული საშუალებების მოქმედების მექანიზმები; მიკროორგანიზმების მგრძობელობა ანტიბიოტიკების მიმართ; იმუნიტეტი და იმუნური სისტემა; ანტიგენები; ანტისხეულები; სეროლოგიური რეაქციები და მათი გამოყენების სპეციფიკა; იმუნობიოლოგიური პრეპარატები; პროტოზოული დაავადებები (მალარია, ტრიპანოსომოზი, ლეიშმანიოზი, ამებიოზი, ტოქსოპლაზმოზი); მიკოზები; ვირუსული ინფექციები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0690 – მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია–1.**

NCB0090 ბიოქიმია–1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კვლევის ბიოქიმიური მეთოდები; ცილების ფიზიკურ–ქიმიური თვისებები, ცილების დიალიზი, დენატურაცია, რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები; ნუკლეინის მჟავები, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი; ლიპიდები; ფერმენტები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0650, NBB0680 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია; NBB0640, NBB0670 – მიკროსკოპული ანატომია; NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.**

NCB0120 ბიოქიმია–2 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ბიოენერგეტიკა; ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილების, ამინომჟავების და აზოტშემცველი არაცილოვანი ნივთიერებების ბიოქიმია; მოლეკულური პათოლოგიები; ნივთიერებათა ცვლის რეგულატორები; ბიოლოგიური სითხის გამოკვლევის სპეციფიკა; ქსენობიოტიკების მეტაბოლიზმი. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NCB0090 – ბიოქიმია–1.**

MCB0210 ზოგადი ჰიგიენა (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყლის ჰიგიენა; წყალი, როგორც ინფექციის შესაძლო გადამტანი; დეზინფექციის მეთოდები; კვების ჰიგიენა; ნიადაგის ჰიგიენა; დასახლებული ადგილების ასენიზაცია, საპირფარეშოები, ნაგვის დაკომპოსტება, გვამების დაკრძალვა – კრემაცია; სამკურნალო პროცედურებთან მჭიდროდ დაკავშირებული პროფილაქტიკური ღონისძიებები და მათი გატარების

მეთოდები; გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NBB0650, NBB0680 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია; NBB0690, NBB0710 – მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია.

MCB0520 პათოლოგიური ფიზიოლოგია–1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ზოგადი ეტიოლოგია და პათოგენეზი; სხვადასხვა ფაქტორების დამაზიანებელი გავლენა ორგანიზმზე; მემკვიდრეობის და კონსტიტუციის როლი პათოლოგიაში; დისცირკულატორული პროცესები; ანთების ეტიოპათოგენეზი; ცხელების ეტიოპათოგენეზი; სიმსივნური ზრდის პათოფიზიოლოგია; ნივთიერებათა ცვლის დარღვევა; შოკი და ჰიპოქსია; წითელი სისხლის პათოფიზიოლოგია; თეთრი სისხლის პათოფიზიოლოგია; ჰემოსტაზის პათოფიზიოლოგია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NBB0690, NBB0710 – მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია; NBB0700, NBB720 – ფიზიოლოგია.

MCB0550 პათოლოგიური ფიზიოლოგია–2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლძარღვოვანი უკმარისობა; მიოკარდიუმის ინფარქტი; ჰიპერტონული დაავადების ეტიოპათოგენეზი; არითმიები; საჭმლის მომნელებელ ორგანოთა პათოფიზიოლოგია; თირკმლების პათოფიზიოლოგია; ენდოკრინული სისტემის დაავადებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0520 – პათოლოგიური ფიზიოლოგია–1.

MCB0800 შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი–1 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის არსი. თერაპიის განვითარების ისტორია. სამკურნალო დაწესებულებები. კლინიკის ამოცანები. დაავადება, დიაგნოზი—წინასწარი, კლინიკური, საბოლოო. სამედიცინო დოკუმენტაცია; საექიმო დეონტოლოგიის ზოგადი საკითხები. ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდები; ავადმყოფის გამოკითხვა, ჩივილები, დაავადების და ცხოვრების ისტორია. სუნთქვითი სისტემის ორგანოების დაავადებულთა გამოკითხვა, ჩივილები (ტკივილი გულმკერდში). სუნთქვის სისტემის ორგანოების დაავადებულთა ინსპექცია, გულმკერდის ფორმების განსაზღვრა ნორმასა და პათოლოგიის დროს. ანთროპომეტრია გულმკერდის. სუნთქვის ტიპის, სიხშირის და რითმის დარღვევა. პალპაციის მეთოდის ზოგადი მიმოხილვა. გულმკერდის პალპაცია. გულმკერდის სუნთქვითი ექსკურსიის, რეზისტენტობის და ბგერითი რხევის განსაზღვრა ნორმასა და პათოლოგიის დროს. პერკუსიის მეთოდის ზოგადი მიმოხილვა. ფილტვების შედარებითი და ტოპოგრაფიული პერკურსია. აუსკულტაციის მეთოდის ზოგადი მიმოხილვა და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** NBB0650, NBB0680 – სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, პარაზიტოლოგია; NBB0640, NBB0670 – მიკროსკოპული ანატომია; NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია, NBB0700, NBB720 – ფიზიოლოგია.

MCB0820 შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი–2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ორგანოების პათოლოგია. საყლაპავი მილის პათოლოგიების დროს ავადმყოფის ჩივილები და შეგრძნებები, გამოკვლევის ფიზიკალური მეთოდები, ინსტრუმენტული გამოკვლევები, ძირითადი სინდრომები. კუჭით დაავადებულთა გამოკითხვა, ჩივილები და შეგრძნებები: გემოს გაუკუღმართება, მადის შეცვლა, გაძლიერებული წყურვილი, რეგურგიტაცია, რეფლუქსი, გულძმარვა, გულისრევა, პირღებინება, ტკივილები და სხვა. კუჭის დაავადებულთა ინსპექცია მუცლის პალპაცია (ზერელე, ღრმა), პერკუსია. კუჭის ინსტრუმენტული გამოკვლევები (რენტგენოლოგიური, ენდოსკოპიური), კუჭის წვენის გამოკვლევის ფრაქციული მეთოდიკა (წვრილი ზონდით), კუჭის წვენის ბაზალური და სტიმულირებული (ჰისტამინით) მჟავიანობა ნორმასა და პათოლოგიების დროს კუჭის დაავადებულთა უმთავრესი სინდრომები. ღვიძლის და სანაღვლე გზების დაავადებულთა გამოკითხვა, ჩივილები და შეგრძნებები. (ტკივილი, სიყვითლე, კანის ქავილი, სისხლიანი ღებინება, სისხლზე გასვლა, კანზე სისხლჩარქცევები, ტემპერატურის მატება და სხვა). ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებულთა ინსპექცია, ღვიძლის პალპაცია, ნაღვლის ბუშტის პალპაცია. ღვიძლის

პერკუსია. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0800 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი-1

MCB0160 ზოგადი ქირურგია-1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქირურგიის საგანი, თემის არსი; ქირურგიული ინფექცია, ანტისეპტიკა, სახეევი, მეთოდები, ანტიბიოტიკები; ასეპტიკა, საოპერაციო ბლოკი და მისი მოწყობილობა, გაუტკივარება, ჩვენებები, უკუჩვენებები, გართულებები; ზოგადი გაუტკივარება, კომბინირებული ნარკოზი; სისხლდენა; სისხლის ჯგუფობრიობა, რეზუსფაქტორი, სისხლის გადასხმა; ქირურგიული ავადმყოფის გამოკვლევები, ქირურგიული ოპერაცია; ტრავმის ზოგადი დახასიათება, შოკი, კოლაფსი, ინფექცია, ტოქსიკოზი; ტრავმული შოკი, ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი; ძვლების მოტეხილობა და ამოვარდნილობა; რბილი ქსოვილების, თავის ქალისა და ტვინის დაზურული დაზიანება; გულმკერდისა და მუცლის ღრუს დაზურული დაზიანება; დესმურგია--ცნება ნახვევების შესახებ. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია.

MCB0170 ზოგადი ქირურგია-2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დამწვრობა; მოყინვა; ჭრილობები; ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება; ქირურგიული ინფექცია; ანთება: მწვავე ჩირქოვან დაავადებათა სახეები; სეფსისი; ანაერობული ინფექცია; ანაერობული ინფექციის მკურნალობა; ნეკროზი, განგრენა, წყლულები, ხვრელმილები; სიმსივნეები; სიმსივნეების მკურნალობის ზოგადი პრინციპები; პრეკანცერული დაავადებები; მწვავე და ქრონიკული ქირურგიული ინფექცია. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0160 – ზოგადი ქირურგია-1.

MCB0120 დერმატოვენეროლოგია-1 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კანის ემბრიოლოგია ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია და ბიოქიმია; კანის ჰისტოპათოლოგია, კანზე გამონაყარის პირველადი და მეორადი მორფოლოგიური ელემენტები; კანის დაავადებათა მკურნალობის საფუძვლები; ფსორიაზი. წითელი ბრტყელი ლიქენი; კანის ჩირქმზადი დაავადებანი, კანის პარაზიტული დაავადებები; კანის სოკოვანი დაავადებანი; დერმატიტები; ეგზემა, პროფესიული დერმატოზები; ატოპიური დერმატიტი. ჭინჭრის ციება. პრურიგო; შემაერთებელი ქსოვილის დაავადებანი. ერითემატოზი, დერმატომიოზიტი, სკლეროდერმია და ა.შ. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0800 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი-1.

MCB0130 დერმატოვენეროლოგია-2 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ცხელი ქვეყნების მცხოვრებთა კანის დაავადებანი, ლეპრა, ლეიშმანიოზი; ვენეროლოგიის შესავალი. სიფილისის ზოგადი პათოლოგია. სიფილისის პირველი ხანა; სიფილისის მეორე ხანა. შინაგანი ორგანოების, ძვლების და დაზიანება მეორე ხანის სიფილისი დროს; სიფილისის მესამე ხანა. შინაგანი ორგანოების, მამომრავებელი აპარატის, მხედველობის ორგანოს დაზიანებანი, თანდაყოლილი ათაშანგი; სეროლოგიური რეაქციები სიფილის დროს. სიფილისის მკურნალობის და პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპები; გონორეა. შარდსასქესო სისტემის ქლამიდიოზი, შინაგანი ორგანოების, მხედველობის ორგანოს, ძვლების და სახსრების დაზიანება. ტრიქომონიაზი, სასქესო სისტემის კანდიდოზი, გარდნერელოზი და ა. შ. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0120 – დერმატოვენეროლოგია-1.

MCB0600 საექთნო პრაქტიკა (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კანქვეშა ინტრამუსკულარული და ინტრავენური ინექციების ჩატარების ტექნიკა, გადასხმის სისტემის მზადება და დადგმის ტექნიკა, ოყნის დადგმა (სიფონის, გამწმენდი), შარდის ბუშტის კათეტერიზაცია; თეთრეულის გამოცვლის წესები, ავადმყოფის კვება; წამლების განაწილება, წამლების გაფორმება; თერმომეტრია, კოტოშები, მდოგვის საფენების დადება, სათბურის გამოყენება; აუტოჰემოთერაპია, სისხლის ჯგუფობრიობის განსაზღვრა; კუჭის

გაწმენდა, კუჭის წვენის აღება, დუედენალური ზონდირება; პლევრალური ფუნქცია, ე.კ.გ. გადაღება; ჟანგბადის მიწოდების ტექნიკა, ხელოვნური სუნთქვა და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0820 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი–2**

MCB0430 ოტორინოლარინგოლოგია (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ოტორინოლარინგოლოგიური ორგანოების ანატომია და ფიზიოლოგია. ყურის, ცხვირის, პარანაზალური სინუსების, ხახის, ხორხის, ტრაქეის, საყლაპავის დაავადებები. დიაგნოსტიკური პროცედურები ოტორინოლარინგოლოგიაში, სმენის გამოკვლევა, ვესტიბულარული სისტემა, ენდოსკოპია, სპეციფიური პრობლემები პედიატრიულ ოტორინოლარინგოლოგიაში. მწვავე დაავადებების მკურნალობა ოტორინოლარინგოლოგიაში; ცხვირიდან სისხლდენა, ინტრაკრანიალური გართულებები, უცხო სხეულები. ცხვირის და პარანაზალური ტრამვეტი სინუსების, ყურის, ხახის, ხორხის, სიმსივნეები, მათი მკურნალობა. ლოკალური ინფექციები ტონზილექტომიის ჩვენება. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0800 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი–1.**

MCB0720 საფაკულტეტო თერაპია–1 (8 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არტერიული ჰიპერტენზია; სიმპტომური ჰიპერტენზიები; გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია; მიოკარდიუმის ინფარქტი; გულის შეძენილი მანკები; მიოკარდიტი, პერიკარდიტი, მიოკარდიოპათიები; გულის რიმტის მოშლა, გულის უკმარისობა; რევმატული დაავადებების კლასიფიკაცია სისტემური წითელ მგლურა; სისტემური სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი; რევმატოიდული არტრიტი, ოსტეოართროზი, პოდაგრა; მწვავე პნევმონიები; ფილტვის დაჩირქებითი დაავადებები; ბრონქული ასმთა; ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, ფილტვის ინფარქტი, ფილტვის სარკოიდოზი; პლევრიტები, პევმოთორაქსი, სუნთქვის უკმარისობა; მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტი; მწვავე და ქრონიკული პიელონეფრიტი; თირკმლის მწვავე უკმარისობა; თირკმლების ქრონიკული უკმარისობა; თირკმლების დაზიანება სისტემური ვასკულიტების დროს. ნეფროლითიაზი. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0820 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი–2.**

MCB0730 საფაკულტეტო თერაპია–2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საყლაპავის დაავადებები; გასტრიტი, პეპტიკური წყლული, კოლინგერ-ელისონის სინდრომი; დიარეა, შეკრულება, ნაწლავთა დისბაქტერიოზი, მალაბსორბცია; კრონის დაავადება, არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ფსევდომემბრანოზული კოლიტი; მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტები; ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური სისტემის დაავადებები; ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, პარათირეოიდული ჯირკვლის დაავადებები; შაქრიანი დიაბეტი, შაქრიანი დიაბეტის გართულებები, ჰიპერ და ჰიპოგლიკემური კომა; შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა, ინსულინომა, გლუკაგონომა, ვიპ-ომა; თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგია; სისხლის და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები, ანემიები; ჰემორაგიული დაავადებები და სინდრომები; მწვავე ლეიკემიები; მიელოპროლიფერაციული დაავადებები; ლიმფოპროლიფერაციული დაავადებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0720 – საფაკულტეტო თერაპია–1.**

MCB0700 საფაკულტეტო ქირურგია–1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საფაკულტეტო ქირურგიის განვითარების ისტორია, ქირურგიული ავადმყოფის შესწავლისა და მკურნალობის თავისებურება ანამნეზი კვლევის ობიექტური მეთოდების (პალპაცია, პერკუსია, ინსპექცია, ლაბორატორიული მონაცემები, ინსრუმენტული, ენდოსკოპიური და რენტგენოლოგიური მონაცემები.) მნიშვნელობა ქირურგიულ კლინიკაში, დიაგნოზი, დიფერენციალური დიაგნოზის არსი მკურნალობის ოპერაციული მეთოდები და მათი ფიზიოლოგიური დასაბუთება. თიაქრები: საზარდულის, ბარდაყის, თეთრი ხახის, ჭიპის, ოპერაციის შემდგომი ვენტრალური, დაცურებული თიაქარი, რეციდიული თიაქარი, თიაქრების გართულებები:

თიაქრის ჩაჭედვა, ჩაჭედვის სახეები. თიაქრის ჩაჭედვა , ჩაუსწორებელი თიაქრები. აპენდიციტი: მწ. აპენდიციტი, მისი გართულებები. ქრონიკული აპენდიციტი. აპენდექტომიის შემდგომი გართულებები.კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის დაავადებები: წყლულოვანი დაავადება, გართულებები პენტრაცია, პერფორაცია, სისხლდენა, სტენოზი, გასტრული ტეტანია, წყლულის მალიგნიზაცია. კუჭის კიბო. ღვიძლის დაავადებები. ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებები: სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადება, მწვ. და ქრონიკული ქოლეცისტიტი. ქოლემია და აქოლია, ქოლანგიტი.კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები: მწვ. და ქრონიკული პანკრეატიტი. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0160, MCB0170 – ზოგადი ქირურგია.**

MCB0710 საფაკულტეტო ქირურგია–2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნაწლავთა გაუვალობა: ნაწლავთა თანდაყოლილი გაუვალობა, ნაწლავთა დინამიური გაუვალობა,(სპაზმური, დამბლური) ნაწლავთა ოპერაციული გაუვალობა, ნაწლავთა სტრანგულაციური გაუვალობა, ინვაგინაცია, ნაწლავთა ქრონიკული გაუვალობა.პერიტონიტები: მწვ.ჩირქოვანი პერიტონიტი, შემოფარგლული პერიტონიტი, დიფუზური პერიტონიტი, ტუპერკულოზური პერიტონიტი. მსხვილი ნაწლავის დაავადებები: კეთილთვისებიანი სიმსივნეები, ჰიმპრუნგის დაავადება, მსხვილი ნაწლავის კიბო.სწორი ნაწლავის დაავადებები: ბუასილი, ნაწლავის ნახეთქი, მწვ. და ქრონიკული პარაპროქტიტი. სწორი ნაწლავის კიბო.საყლაპავი მილის დაავადებები: საყლაპავი მილის ქიმიური დამწვრობა და საყლაპავი მილის ნაწიბუროვანი შევიწროვება. საყლაპავი მილის კიბო. ფილტვებისა და პლევრის დაავადებანი: ფილტვის აბსცესი და განგრენა, ფილტვის ქრონიკული აბსცესი, ბრონქოექტაზიური დაავადება, ფილტვის ცისტები, ფილტვის კიბო, მწვ. ჩირქოვანი პლევრიტი, ქრონიკული ემპიემა, პიოპნევმოთორაქსი. სარძევე ჯირკვლის დაავადებანი: დისჰორმონალური დაავადებანი, მასტოპათიები, კეთილთვისებიანი სიმსივნეები, სარძევე ჯირკვლის კიბო.სისხლძარღვთა დაავადებანი: ქვედა კიდურის ვენების დაავადებები, ქვედა კიდურის ვენების ვარიკოზი, ქვედა კიდურის ვენების თრომბოფლემიტი. პოსტთრომბოფლემიტიური სინდრომი. არტერიების დაავადებები: არტერიების ათეროსკლეროზული დაზიანება, მაობლიტირებელი ენდარტერიტი, მაობლიტირებელი თრომბანგიტი. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0700 – საფაკულტეტო ქირურგია–1.**

MCB860 ჰოსპიტალური თერაპია–1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გულის იშემიური დაავადება. სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი; მიოკარდიტი; კარდიომიოპათია; პერიკარდიტი; გულის რითმის მოშლა გულის ბლოკადები; გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკები; ფილტვისმიერი გული. გულის მწვავე და ქრონიკული უკმარისობა ღვიძლის მწვავე ვირუსული დაავადებები, ღვიძლის მწვავე უკმარისობა; ქრონიკული ჰეპატიტები; ღვიძლის ციროზები;ბილირუბინის ცვლის დარღვევები; ნაღვლის ბუშტის დაავადებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0730 – საფაკულტეტო თერაპია–2.**

MCB870 ჰოსპიტალური თერაპია–2 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილტვების ფუნქციის გამოკვლევა. სუნთქვის მწვავე უკმარისობა, რესპირაციული დისტრეს სინდრომი; ბრონქული ასთმა; პნევმონიები. ფილტვის დაჩირქებითი დაავადებები, ფილტვების ინტერსტიციული დაავადებები; ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია; მწვავე და ქრონიკული გლომერულონეფრიტი; მწვავე და ქრონიკული პიელონეფრიტი; თირკმლების მწვავე და ქრონიკული უკმარისობა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB860 – ჰოსპიტალური თერაპია–1.**

MCB0880 ჰოსპიტალური ქირურგია–1 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შესავალი ლექცია. ჰოსპიტალური ქირურგიის განვითარების ისტორია, ქირურგიული ავადმყოფის შესწავლისა და მკურნალობის თავისებურება. კვლევის ობიექტური მეთოდების მნიშვნელობა ქირურგიულ კლინიკაში, დიაგნოზი, დიფერენციალური დიაგნოზის არსი მკურნალობის ოპერაციული მეთოდები და მათი ფიზიოლოგიური დასაბუთება.

თიაქრები: საზარდულის, ბარძაყის, თეთრი ხაზის, ჭიპის, ოპერაციის შემდგომი ვენტრალური, დაცურებული თიაქარი, რეციდიული თიაქარი, თიაქრების გართულებები: თიაქრის ჩაჭედვა, ჩაჭედვის სახეები. ჩაუსწორებელი თიაქრები. აპენდიციტი: მწ. აპენდიციტი, მისი გართულებები. ქრონიკული აპენდიციტი. აპენდექტომიის შემდგომი გართულებები. კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის დაავადებები: წყლულოვანი დაავადება, გართულებები, პენეტრაცია, პერფორაცია, სისხლდენა, სტენოზი, გასტრული ტეტანია, წყლულის მალიგნიზაცია. კუჭის კიბო. ღვიძლის დაავადებები. ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებები: სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადება, მწვ. და ქრონიკული ქოლეცისტიტი. ქოლემია და აქოლია, ქოლანგიტი. კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები: მწვ. და ქრონიკული პანკრეატიტი. ნაწლავთა გაუვალობა: ნაწლავთა თანდაყოლილი გაუვალობა, ნაწლავთა დინამიური გაუვალობა, (სპაზმური, დამბლური) ნაწლავთა ოპერაციული გაუვალობა, ნაწლავთა სტრანგულაციური გაუვალობა, ინვაგინაცია, ნაწლავთა ქრონიკული გაუვალობა. პერიტონიტები: მწვ. ჩირქოვანი პერიტონიტი, შემოფარგლული, პერიტონიტი, დიფუზური პერიტონიტი, ტუპერკულოზური პერიტონიტი. მსხვილი ნაწლავის დაავადებები: კეთილთვისებიანი სიმსივნეები, ჰიშპრუნგის დაავადება, მსხვილი ნაწლავის კიბო. სწორი ნაწლავის დაავადებები: ბუასილი, ნაწლავის ნახეთქი, მწვ. და ქრონიკული პარაპროქტიტი. სწორი ნაწლავის კიბო. საყლაპავი მილის დაავადებები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0710 – საფაკულტეტო ქირურგია-2.**

MCB0890 ჰოსპიტალური ქირურგია-2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნეიროქირურგია როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა და მისი განვითარების მოკლე ისტორია, ოპერაციული ნეირო ქირურგია ნეიროქირურგიული ოპერაციების ძირითადი პრინციპები. კრანო-ცერებრალური ტომოგრაფია. თავის ქალას ტრეპანაცია (ძვალ-პლასტიკური და რეზექციული) მიკროქირურგიული მეთოდების გამოყენება ნეიროქირურგიაში, ლამინექტომის და ჰემილანემინექტომიის ტექნიკა. პერიფერიული ნერვების ქირურგია, ნევროლიზის ტექნიკა; ქალა ტვინის ტრავმა, კლასიფიკაცია, პათანატომია და პათოგენეზი, თავის ტვინის შერყევის დაჟეჟილობის აკომპრესის კლინიკა, ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევები (ეპი-სუბ-დურული, ინტრაცერებრალური ჰემატომები, სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა ქალა-ტვინის ტრავმის კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის ძირითადი პრინციპები, გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა. თავის ტვინის სინსივნეები, კლასიფიკაცია, კლინიკა (ზოგადი ცერებრული და კეროვანი სიმპტომები) დიაგნოსტიკა, გამოკვლევის მეთოდები ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობის ძირითადი პრინციპები (რადიკალური და პალიატიური ოპერაციები) თავის ტვინის დისლოკაციის და ჩაჭედვის სიმპტომები, კლინიკა და მკურნალობა. ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებები; ტრავმის მექანიზმი და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0250 – ჰოსპიტალური ქირურგია-1.**

MCB0340 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია -1 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მეანობის საგანი. სამეანო დახმარების სისტემის განვითარების მოკლე ისტორია. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა დედათა და ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა (უკანასკნელი 3 ალწერის მონაცემების მიხედვით). ქსელი, რომელიც ემსახურება ქალთა და ბავშვთა დაცვას საქართველოში; ქალის სასქესო ორგანოების ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები. განაყოფიერება და იმპლანტაცია. ემბრიონის და ნაყოფის განვითარების ეტაპები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0630, NBB0660 – მაკროსკოპული ანატომია, MCB0550 – პათოლოგიური ფიზიოლოგია-2.**

MCB0350 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია -2 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანტენატალური მეთვალყურეობის ძირითადი პრინციპები გართულებები ორსულობის პირველ და მეორე ნახევარში. მშობიარობის პერიოდები და კომპონენტები (გამომძევებელი ძალები, სამშობიარო არხი, ნაყოფი – მშობიარობის ობიექტი).

პათოლოგიური მშობიარობის განმპირობებელი ფაქტორები: მენჯის შენების ანატომიური ცვლილებები (ვიწრო მენჯი), საშვილოსნოს შეკუმშვითი უნარის ცვლილება (დისტოცია), ნაყოფის მდებარეობის და წინამდებარეობის პათოლოგია; მრავალნაყოფიანი ორსულობა და მშობიარობა; მრავალნაყოფიანი ორსულობა და მშობიარობა; სისხლდენა მეანობაში. მოსამშობიარებელი ოპერაციები; ნაყოფი და ახალშობილი (შეფასება, მოვლა, დახმარება ჰიპოქსიის პირობებში). მკვდარი ნაყოფი; ლოგინობის ხანა – ნორმა და პათოლოგია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MSB0340 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –1.**

MCB0360 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –3 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გინეკოლოგიის საგანი თანამედროვე ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების საშუალებები; ქალის სასქესო ორგანოების ანატომია. განვითარების მანკები. საშვილოსნოს დაწვევა; სქესობრივი გიზთ გადამდები დაავადებები; ქალის სასქესო ორგანოების არასპეციფიური ანთებები; საშოს და საშვილოსნოს ყელის ფონური და კიბოსწინარე დაავადებები. საშვილოსნოს მიომა; საკვერცხეების კისტა, კისტომა, კიბო; ენდომეტრიუმის კიბო. საშვილოსნოს ყელის კიბო; კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MSB0350 – მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –2.

MCB0370 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –4 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენდომეტროზი, ტრიფოლასტიკური დაავადებები; გადაუდებელი მდგომარეობები გინეკოლოგიაში. ოპერაციები; რეპროდუქტოლოგია, როგორც მეცნიერება. ნეიროენდოკრინული სინდრომები; მენსტრუალური ციკლის ნეიროჰუმორალური რეგულაცია. მენსტრუალური ციკლის დარღვევები. დისფუნქციური სისხლდენა. უნაყოფობა. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MSB0360 – მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია –3.**

MCB0380 ფარმაკოლოგია–1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფარმაკოკინეტიკა (აბსორბცია, განაწილება, დეპონირება, ბიოტრანსფორმაცია, ელიმინაცია); ფარმაკოდინამიკა; ზოგადი რეცეპტურა; სინაპტოპროპული საშუალებები, ანესთეტიკები, სანარკოზე საშუალებები, ეთილის სპირტი; ტრანქვილიზატორები; ანტიჰიპოქსანტები; ნეიროლეპსიური საშუალებები; ფსიქოსტიმულატორები; ანტიკონვულსანტები; პარკინსონის დაავადების სამკურნალო საშუალებები; ნეიროპროტექტორები, ანტიდეპრესანტები; ნარკოტიკული ანალგეტიკები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0690, NBB0710 – მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია; NBB0700, NBB720 – ფიზიოლოგია.**

MCB0410 ფარმაკოლოგია–2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არანარკოტიკული ანალგეტიკები; კარდიოტონური მედიკამენტები (საგულე გლიკოზიდები); ანტიარითმიული და ანტიანგიური საშუალებები; ათეროსკლეროზის სამკურნალო საშუალებები; დიურეტიკები; ჰემოსტაზზე, თრომბოციტების აგრეგაციასა და ფიბრინოლიზზე მოქმედი საშუალებები; საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ფუნქციაზე მოქმედი მედიკამენტები; ჰორმონალური და ანტიჰორმონალური პრეპარატები (მედიკამენტოზური კასტრაცია და ადრენალექტომია); მიომეტრიუმზე მოქმედი საშუალებები; ალერგიის საწინააღმდეგო (ანტიჰისტამინური) მედიკამენტები; იმუნოდეპრესანტები, იმუნოსტიმულატორები; ანტიმიკრობული, ანტივირუსული და სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები; ციტოსტატიკები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0380 – ფარმაკოლოგია–1.**

MSB0630 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი –1 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზოგადოებრივი ჯანდაცვა როგორც მეცნიერება და სწავების საგანი:

ჯანდაცვის სამსახურის მოქმედების ძირითადი ამოცანები, ჯანდაცვის პრობლემის კვლევის მეთოდები და კონცეფციის განვითარების ძირითადი ეტაპები: ბიოლოგიური და სოციალური პროცესების ურთიერთ შეფარდება: ჯანმრთელობაზე სოციალური გარემოს ზემოქმედების ამსახველი თანამედროვე თეორიები. მოსახლეობის ჯანმრთელობა. მოსახლეობის ავადობის შესწავლის თავისებურებები. მოსახლეობის ფიზიკური განვითარება. ინვალიდობა, როგორც ჯანმრთელობის ამსახველი ძირითადი კრიტერიუმი. დემოგრაფიული განვითარება, როგორც ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორი. მოსახლეობის სტატისტიკა, მოსახლეობის აღწერის სახეები, მოსახლეობის შობადობასა და სიკვდილიანობაზე მოქმედი ფაქტორები, დაავადებათა გლობალური ტვირთისა და DALY-ის მაჩვენებელი; სამედიცინო სტატისტიკა. კლინიკურ-სტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური კვლევის მეთოდები, ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ძირითადი დეტერმინანტები: ოჯახის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სიღარიბე და ჯანმრთელობა, მოსახლეობის განათლება, იძულებითი მიგრაცია, გენდერული ფაქტორები, სიბერე როგორც სოციალური პრობლემა; მოსახლეობის ცხოვრების წესი.

MSB0640 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი –2 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ჯანდაცვის სისტემის დაგეგმვა: გეგმის სახეები, დაგეგმვის მეთოდები და ძირითადი მაჩვენებლები. საორგანიზაციო სტრატეგიის სახეები, სტრატეგიული დაგეგმვა; ინფორმაციული სისტემები მენეჯმენტში: ინფორმაცია და ინფორმაციული სისტემების ფორმები, ტიპები. ინფორმაციული სისტემების დაგეგმვა, დაგეგმვის ფსიქო-სოციალური ასპექტები; სამედიცინო კადრების მენეჯმენტი: კადრების სტრუქტურა და მართვა, ადამიანური რესურსების დაგეგმვა, შრომითი რესურსების განვითარება, კადრების ატესტაცია ჯანდაცვის სისტემაში. გუნდური მუშაობა, ლიდერობა მენეჯმენტში; ქვევის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და ეთიკური ნორმები ჯანდაცვაში; საკონფლიქტო სიტუაციები მენეჯმენტში: კონფლიქტის სახეები, კონფლიქტის გადაწყვეტის ძირითადი პრინციპები, პრობლემის გადაწყვეტა; ხარისხის კონტროლი ჯანდაცვის სისტემაში: სამედიცინო მომსახურების ხარისხის მახასიათებლები, ხარისხის კონტროლის ტიპები, აუდიტი; ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები.

MCB0380 ნევროლოგია-1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნერვული სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია; რეფლექსები, მათი კლასიფიკაცია და გამოკვლევის მეთოდები. პათოლოგიური რეფლექსები. პოსტურალური რეფლექსები; მოძრაობითი მოშლილობები, ცენტრალური (ზედა) და პერიფერიული (ქვედა) მოტონეირონების ფუნქციური ანატომია და დაზიანების სინდრომები; ქსტრაპირამიდული მოშლილობები; ნათხემის გამტარი გზები. მე-8 კრანიალური ნერვი. მოძრაობის კოორდინაციის მოშლა, ატაქსიის სახეები; სიმპატიკური და პარასიმპატიკური ნერვული სისტემა, ვეგეტატიური რეფლექსური რკალი. თავის და ზურგის ტვინის გარსები, ლიქვორის გამოკვლევის მეთოდიკა, ჰუმორული სინდრომი; გრძნობელობა, გრძნობელობის მოშლა, გრძნობელობის დაზიანების ტოპიკური დიაგნოზი. ყნოსვის (I) და მხედველობის (II) ნერვები. ყნოსვის და მხედველობის მოშლა. მე-3, მე-4 და მე-6 კრანიალური ნერვები და მათი დაზიანების სინდრომები. მე-5 და მე-6 კრანიალური ნერვები და მათი დაზიანების სინდრომები; თავის და სახის არის ტკივილები; მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კრანიალური ნერვები, ბულბარული და ფსევდობულბალური სინდრომები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0820 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი-2.**

MCB0390 ნევროლოგია-2 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტოქსიური ენცეფალოპათია; ეპილეფსია, კრუნჩხვითი მდგომარეობა. ცნობიერების, მეტყველების მოშლა, დემენცია; ფსიქიკური დარღვევები. დეპრესია. დემენციები. მოძრაობის დარღვევები. ინსულტი. ნერვული სისტემის სიმსივნეები. ნერვული სისტემის ტრავმული დაზიანებები; ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებები. მადემიელინიზებული დაავადებები. კომატოზური მდგომარეობა. ნერვული სისტემა ტოქსიკური და მეტაბოლური დაზიანებისას; პერიფერიული ნერვული სისტემის და ნერვ-კუნთოვანი

დაავადებები. გენეტიკური დაავადებები. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0380 – ნევროლოგია-1.

MCB0050 ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია – 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პედიატრიის განვითარების ისტორია, ქართული პედიატრიის განვითარება: . ბავშვთა ასაკის პერიოდები და მათი მნიშვნელობა ბავშვთა ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში: ბავშვის განვითარება საშვილოსნოს შიდა პერიოდში. ტერატოგენული ფაქტორების როლი ნაყოფის განვითარებაზე: ბავშვის ფიზიკური განვითარება, მისი შეფასება: დღენაკლი ახალშობილი: ნერვული სისტემის, კანი, კუნთოვანი და ძლოვანი სისტემის, სასუნთქი სისტემის, გულსისხლძარღვთა სისტემის, საჭმლის მომწელებელი სისტემის, საშარდე სისტემის, თირკმლისა და საშარდე გზების ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი, გამოკვლევები, სემიოტიკა. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0820 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი –2.

MCB0060 ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია – 2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რაქიტი, ეტიო-პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობები, დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები, ანტე- და პოსტნატალური პროფილაქტიკა: სპაზმოფილია, ეტიო-პათოგენეზი, კლინიკური ფორმები, მკურნალობა: კონსტიტუცია, კონსტიტუციური ანომალიები. ექსუდაციურ-კატარალური , ლიმფო-ჰიპოპლაზიური, ნერვულ-ართრიტული დიათეზები.: ჰიპოტროფიები, ეტიო-პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, მკურნალობის პრინციპები: სეფსისი, ეტიო-პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: ბრონქიტები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, ჩვილ ბავშვთა პნევმონიები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: რკინადეფიციტური ანემიები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: ექსიკოზები და ტოქსიკოზი, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: დისპეფსიები ბავშვებში, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: გულის თანდაყოლილი მანკები, კლასიფიკაცია, ჰემოდინამიკა, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: საშარდე სისტემის ინფექციები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0050 – ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია – 1.

MCB0070 ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია – 3 (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ახალშობილთა ტრანზიტორული მდგომარეობანი, კლინიკა, ეტიო-პათოგენეზი, დიფ. დიაგნოსტიკა: ახალშობილთა სიყვითლე, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: . ახალშობილთა რენიმაცია სამშობიარო დარბაზში ABC სქემით, პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მოზრდილ ბავშვთა პნევმონიები, ეტიოპათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები. კრუპოზული პნევმონია: მწვავე და ქრონიკული გასტრიტები, ეტიოპათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: ნაღვლის ბუშტის დისკინეზიები ბავშვებში. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ბავშვებში. არითმიები, შექმნილი კარდიტები და კარდიომიოპათიები. კლინიკა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები: თირკმლის დაავადებები ბავშვებში. პიელონეფრიტი და გლომერულონეფრიტი. კლინიკა, დიაგნოზი, დიფ. დიაგნოზი, მკურნალობის პრინციპები. კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0060 – ბავშვთა დაავადებათა პროპედევტიკა, პედიატრია, ნეონატოლოგია – 2.

MCB0290 სტომატოლოგია (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სტომატოლოგიის საგანი, ისტორია, პირის ღრუს ორგანოების ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, გამოკვლევის მეთოდები. კბილების მაგარი ქსოვილების კარიესული და არაკარიესული დაავადებები. პულპის ანთებითი დაავადებები - პულპიტი და პერიოდონტიტი; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, პირის ღრუს ჰიგიენა; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები; სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის თანამედროვე კონცეფციები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0520, MCB0550 – პათოლოგიური ფიზიოლოგია.

MCB0740 სექციის კურსი (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პათოლოგ-ანატომიური სამსახურის დანიშნულება და მნიშვნელობა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის განსაზღვრისათვის; პათოლოგ-ანატომიური სამსახურისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეცნიერებებს შორის კავშირი და მათი განმასხვავებელი ფაქტორები; სიკვდილი, მიზეზები, განსხვავება ბანალური და ნაძალადევი სიკვდილის ფორმებს შორის; სასექციო განყოფილების აღჭურვილობა; ლაბორატორიების მოწყობა; სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია; სექციის ჩატარების მეთოდები მოზრდილებში, ახალშობილებში და განსაკუთრებით საშიში ონფექციების დროს; პათ.ანატომიური დიაგნოზის გაფორმება: ძირითადი ავადმყოფობა, ფონური ავადმყოფობა, გართულება და სიკვდილის უშუალო მიზეზის ჩამოყალიბება; გარდაცვალების ცნობის გაფორმება და დოკუმენტაციის მოწესრიგება. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0460 – პათოლოგიური ანატომია – 2.

MCB0590 რენტგენოლოგია (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რენტგენოდიაგნოსტიკა. სხივების ფიზიკური მონაცემები, აპარატურა, გამოკვლევის მეთოდები, საკონტრასტო ნივთიერებები, მედპერსონალის და ავადმყოფთა უსაფრთხოების ტექნიკა; ძვალსახსართა სისტემა, თავის ქალა, ხერხემალი, მენიის ძვლები, კიდურები. ტრავმები და სხვადასხვა პათოლოგიები; სასუნთქი სისტემა, გულსისხლძარღვთა სისტემა, ფილტვების, პლევრის, შუასაყარის ორგანოების, გულის პათოლოგიების დიაგნოსტიკა. ანომალიები; საჭმლის მომნელებელი სისტემა, საყლაპავის, კუჭის, ნაწლავების, ნაღვლის ბუშტის პათოლოგიების დიაგნოსტიკა, საკონტრასტო ნივთიერებების გამოყენების ტექნიკა; შარდსასქესო სისტემა. თირმკვლების, შარდსაწვეთების, შარდისბუშტის, ურეტრის პათოლოგიები, საკონტრასტო ნივთიერებებით კვლევის ტექნიკა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0820 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა, შინაგანი სნეულებანი-2 .

MCB0020 ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია-1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ალერგიული რეაქციების ტიპები; წამლისმიერი ალერგია; ბრონქული ასთმა; ანაფილაქსიური შოკი; პოლინოზი, რინიტი; ჯინჭრის ციება და ანგიონევროტიკული შეშუპება; ატოპიური დერმატიტი; დესენსიბილიზაცია, ალერგიული რეაქციები და გლუკოკორტიკოიდები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB860 – ჰოსპიტალური თერაპია-1.

MCB0030 ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია-2 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: იმუნოდეფიციტები; შიდსი; აუტოიმუნური დაავადებები; რევმატიზმი, რევმატოიდული პოლიართრიტი, გლომერულონეფრიტი; ონკოიმუნოლოგია; ასაკობრივი იმუნოლოგია: ბავშვი და თავდაცვა, დაბერების იმუნოლოგია; ტრანსპლანტალოგია, კლონირება, ღერძული უჯრედები; რეპროდუქციული იმუნოლოგია; სტომატოლოგიური იმუნოლოგია; ენდოკრინული იმუნოლოგია: დიაბეტი, თირეოიდიტი; მწვავე და ქრონიკული ინფექციები: ჰეპატიტების იმუნოლოგია, ჰერპეს ვირუსები, უჯრედშიდა და უჯრედგარე ბაქტერიები (სტაფილოკოკი, ქლამიდია), ტუბერკულოზის იმუნოლოგია, პარაზიტების იმუნოლოგია (ფასციოლეზი); ვაქცინაცია; იმუნოთერაპია (უჯრედული თერაპია) და იმუნოპრეპარატები; იმუნოდიაგნოსტიკა; არასპეციფიური პნევმონია და ქათმის გრიპი; სხვა აქტიური საკითხები. **კურსის**

შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB00020 – ალერგოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია–1.

MCB0780 უროლოგია (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: უროლოგიის საგანი, ტოპანატომია, თირკმელი, შარდსაწვეთი, შარდის ბუშტი, შარდსადენი, პროსტატა, ასო, სათესლე ჯირკვალი; თირკმლის გორგლოვანი და მილაკოვანი ფუნქცია, კლინიკური გამოკვლევა და დიაგნოსტიკა უროლოგიაში; შარდსასქესო ორგანოების ტრავმები; შარდსასქესო ორგანოების ტუბერკულოზი, შარდკენჭოვანი დაავადება; შარდსასქესო ორგანოების ანომალიები; ნეფროგენული ჰიპერტონია; თირკმლის უკმარისობა; საშარდე სისტემის სიმსივნეები; სათესლე ჯირკვლის კიბო; გადაუდებელი უროლოგიური მდგომარეობები; ჰემატურია, მწვავე ანთებითი დაავადებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0760 – ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია–2.

MCB0690 სასამართლო მედიცინა (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სასამართლო სამედიცინო ტანატოლოგია და გვამის ექსპერტიზა; კვდომა და სიკვდილი; სიკვდილის სასამართლო სამედიცინო კლასიფიკაცია; გვამური მოვლენები; სიკვდილის ხანდაზმულობის განსაზღვრა; გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე; სასამართლო სამედიცინო ტრავმატოლოგია; ტრავმატიზმის სახეები; მექანიკურ დაზიანებათა კლინიკო-მორფოლოგიური ფორმები; სიკვდილის მიზეზები მექანიკური დაზიანებების დროს; მკვრივი ბლავვი საგნებით მიყენებული დაზიანებები; სიმალიდან ვარდნა სიბრტყეზე; მახვილი იარაღით მიყენებული დაზიანებები; სხეულის სასიკვდილო დაზიანების დროს დაზარალებულის მიერ მიზანშეწონილი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა; დაზიანებები სატრანსპორტო საშუალებებით; ავტოტრანსპორტით, სარელსო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტით მიყენებული დაზიანებები; ცაცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებები; ცეცხლსასროლი იარაღების კლასიფიკაცია; ცეცხლსასროლი ჭრილობის დიაგნოსტიკა; შესავალი და გამოსავალი ხერხი; ჭრილობის არხი; სროლის მანძილის განსაზღვრა; იარაღის იდენტიფიკაცია; ფუჭი მუხტი; ფეთქებადი იარაღით მიყენებული დაზიანებები; ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა; სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა; ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზა; თვითდაზიანება; ხელოვნურად გამოწვეული მდგომარეობანი; **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0880 – ჰოსპიტალური ქირურგია–1.

MCB0850 ჰემატოლოგია (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანემიები, კლასიფიკაცია, პათოგენეზი, რკინადეფიციტური ანემიები, ჰემოლიზური ანემიები, კლასიფიკაცია, კლინიკური სურათი, მკურნალობის სპეციფიკა; ჰემორაგიული დაავადებები და სინდრომები; თრომბოციტოპენიები (აუტოიმუნური, ჰეტეროიმუნური, მედიკამენტოზური, ტოქსიკური); მწვავე ლეიკემიები, მკურნალობის თანამედროვე პრინციპები; მიელოპროლიფერაციული დაავადებები და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0550 – პათოლოგიური ფიზიოლოგია–2, MCB0720 – საფაკულტეტო თერაპია–1.

MCB00620 საექიმო პრაქტიკა (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ავადმყოფის გატარება მკურნალ ექიმთან ერთად (გამოკითხვა, პერკუსია, პალპაცია, აუსკულტაცია, წინასწარი დიაგნოზის დასმა, დიფერენციალური დიაგნოზის გატარება, ლაბორატორიული და ინსტრუმენტულ გამოკვლევებში მონაწილეობა, საბოლოო დიაგნოზის დასმა, მკურნალობის დანიშვნა, ავადმყოფის ყოველდღიური კურაცია), შემდეგ ნოზოლოგიებში: გულის იშემიური დაავადება. სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი; გულის რითმის მოშლა, გულის ბლოკადები, გულის შეძენილი მანკები გულის უკმარისობის მოვლენებით; კუჭის და 12–გოჯა ნაწლავის ბოლქვის წყლულოვანი დაავადების გამწვავება; ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზები, აპენდიციტი, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, გართულებები; თიაქრები: საზარდულის, ბარძაყის, თეთრი ხაზის, ჭიპის,

ოპერაციის შემდგომი ვენტრალური თიაქარი; კუჭის და 12გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ,გართულებები: პენეტრაცია, პერფორაცია, პროფუზული სისხლდენა, პილოროსტენოზი.; კუჭის კიბო და ა.შ. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0880, MCB0890 ჰოსპიტალური ქირურგია; MCB0380, MCB0390 – ფარმაკოლოგია; MCB0730 – საფაკულტეტო თერაპია–2.

MCB0280 კლინიკური გერიატრია (2 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გერონტოლოგია და გერიატრია. კლინიკური ასპექტები. სიბერესთან ასოცირებული ცვლილებები; ხანდაზმული პაციენტის გამოკვლევის ზოგადი პრინციპები, ანამნეზი, ფიზიკური და ლაბორატორიული გამოკვლევა; ფუნქციური სტატუსის შეფასება; ფსიქიკის მდგომარეობის ზოგადი შეფასება. ფსიქიკის დარღვევის დიფერენციალური დიაგნოზი გერიატრიულ პრაქტიკაში. დელირიუმი, დემენცია, დეპრესია. ხანდაზმულთა ფსიქიკის დარღვევების მკურნალობა; წაქცევა და უმოძრაობა ხანდაზმულთა ასაკში. ოსტეოპოროზი. ნაწოლები; შარდის და განავლის შეუკავებლობა ხანდაზმულებში; სასუნთქი სისტემის, გულსისხლძარღვთა სისტემის, საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებათა თავისებურებები ხანდაზმულებში; ენდოკრინოპათიები და მეტაბოლიზმის მოშლა ხანდაზმულებში სენსორული დისფუნქცია ხანდაზმულებში. მხედველობის, სმენის, გემოს თავისებურებები; ხანდაზმულთა მედიკამენტოზური მკურნალობა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0730 – საფაკულტეტო თერაპია–2.

MCB0040 ანესთეზიოლოგია–რეანიმაცია (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია, როგორც სამეცნიერო – პრაქტიკული დისციპლინა; ნარკოზის სახეები; ნარკოზის თეორიები, კლინიკა და სტადიები; კომბინირებული ანესთეზიის უპირატესობა; ავადმყოფის მომზადება ოპერაციისა და ანესთეზიისთვის; საანესთეზიო საშუალებები; მედიკამენტების დოზირების გამოთვლა; პრემედიკაცია, ჰიპნოტიკები; ინჰალაციური ანესთეტიკები; ინდუქცია ნარკოზში, ჰემოდინამიკის მონიტორინგი; ორგანიზმის გაცოცხლების მეთოდები; მწვავე გულ-ფილტვის უკმარისობა; გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა; მწვავე მოწამვლები; ანესთეზიოლოგიური დარეანიმაციული ღონისძიებები ქირურგიული პათოლოგიების დროს. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0880, MCB0890 ჰოსპიტალური ქირურგია; MCB0380, MCB0390 – ფარმაკოლოგია.

MCB0770 ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რადიოლოგიის ისტორია, მისი როლი თანამედროვე მედიცინაში, ფიზიკის ასპექტები რადიოლოგიური კვლევის მეთოდებში; თავის ტვინის, ძვლებისა და სისხლძარღვების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; გულ-მკერდის ყაფაზის ორგანოების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; გულისა და გულ-სისხლძარღვთა ორგანოების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; ღვიძლის, სანაღვლე გზების, ელენტის კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; კუჭ-ნაწლავის სისტემის ორგანოების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; თირკმლებისა და საშარდე სისტემის ორგანოების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; ძვლების, სახსრებისა და რბილი ქსოვილების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; გენიტალიების კვლევის რადიოლოგიური მეთოდები; უახლესი კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები რადიოლოგიაში. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0880, MCB0890 ჰოსპიტალური ქირურგია.

MCB0410 ონკოლოგია, სხივური დიაგნოსტიკა და რადიოთერაპია (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიმსივნეების კლასიფიკაცია; კანცეროგენეზის პრინციპები; ონკოლოგიური დახმარების ორგანიზაცია; კანის, რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნეები; კანის და რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები; სარძევე ჯირკვლის სიმსივნეები; ფილტვებისა და პლევრის სიმსივნეები; შუასაყრის სიმსივნეები; საყლაპავის სიმსივნეები; კუჭის სიმსივნეები; პანკრეასის სიმსივნეები; ღვიძლის სიმსივნეები; წვრილი

ნაწლავის სიმსივნეები; მსხვილი ნაწლავის სიმსივნეები; სწორი ნაწლავის სიმსივნეები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0880, MCB0890 ჰოსპიტალური ქირურგია; MCB0380, MCB0390 – ფარმაცოლოგია.

MCB0450 ოფთალმოლოგია (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მხედველობის ორგანოს ანატომია და ფიზიოლოგია, გამოკვლევის მეთოდები; მხედველობის ანალიზატორის ფუნქციები, ფიზიოლოგიური ოპტიკა; ქუთუთოების დაავადებები, შემაერთებელი გარსის დაავადებანი; საცრემლე ჯირკვლების დაავადებანი, რქოვანა გარსის დაავადებანი; სკლერის და სისხლძარღვოვანი ტრაქტის დაავადებანი; ბროლი და მისი დაავადებანი, მინისებრი სხეული; მხედველობის ნერვის დაავადებანი, თვალშიდა წნევის პათოლოგია; თვალის მამოძრავებელი აპარატის დაავადებანი, ორბიტის დაავადებები; ზოგადი დაავადებების დროს მხედველობის ორგანოს ცვლილებები, მხედველობის ორგანოს დაზიანება; გადაუდებელი დახმარება ოფთალმოლოგიაში. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0760 – ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია–2.

MCB0290 კლინიკური თერაპია–1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საყლაპავის მიერი და ექსტრაეზოფაგური რეგურგიტაცია; 2. დიარეა. შეკრულობა; სისხლდენა საყლაპავიდან, კუჭიდან, ნაწლავებიდან; აბდომინალგია; სიყვითლე; ჰეპატომეგალია; სპლენომეგალია; ასციტი; პოლიურია-პოლიდიფსია, ოლიგანურია; ნეფროზული სინდრომი. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0730 – საფაკულტეტო თერაპია–2.

MCB0300 კლინიკური თერაპია–2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლდენა ზემო სასუნთქი გზებიდან და ფილტვებიდან ; სითხის ჩადგომა პლევრის ღრუში; ციანოზი; ხველა; სულხუთვა, ქოშინი; ტემპერატურის მომატება, ცხელება; არტერიული ჰიპერტენზი; არტერიული ჰიპოტენზია, კოლაფსი; ტკივილი გულის არემი და გულმკერდში; კარდიომეგალია, გულის რიტმის და გამტარებლობის დარღვევა სახსროვანი სინდრომი; ბრადიარითმია, ტახიარითმია; კარდიოგენული შოკი; გულის შეეზუბებითი ნაკლოვანება, მკურნალობა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0290 – კლინიკური თერაპია–1.

MCB0580 პოლიკლინიკა და საოჯახო მედიცინა (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიკლინიკის მუშაობის ზოგადი პრინციპები; პოლიკლინიკის ტიპები და შემადგენლობა; პოლიკლინიკის პერსონალის უფლება-მოვალეობანი. კაბინეტების მუშაობის ორგანიზაცია, სან. ეპიდ. სტანდარტები; კაბინეტების მუშაობის ორგანიზაცია; 4. დროებით შრომის უუნარო ექსპერტიზა; ოჯახის ექიმის მუშაობის პრინციპები; ოჯახის ექიმის მუშაობის პრინციპები; სინდრომული დიაგნოსტიკის პრინციპები; აღდგენითი მუშაობის ორგანიზაცია; გადაუდებელი დახმარების ორგანიზაცია; დისპანსერიზაციის ძირითადი პრინციპები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0290 – კლინიკური თერაპია–1.

MCB0140 ექიმის მოღვაწეობის იურდიული საფუძვლები (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ; ზოგადი დებულებები; მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვა, ორგანიზაცია და დაფინანსება; სახელმწიფო სერთიფიკატისა და სახელმწიფო ლიცენზიის მინიჭება; სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები; სამედიცინო დაწესებულება; წამალი და ფარმაცევტული საქმიანობა; სამედიცინო ტექნოლოგიები; ფსიქიატრიული დახმარება; სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა და ჰიგიენური ნორმირება; დაავადებათა კონტროლი; სოციალურად საშიში დაავადებები და დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას და ა.შ.

MCB0800 კლინიკური ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია-1 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ზოგადი ტოქსიკოლოგია. ტოქსიკოდინამიკა, ტოქსიკოკინეტიკა, ზოგადი სიმპტომები, მკურნალობის ზოგადი მეთოდები, ფონ-ით მოწამვლა, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა; შაბიამნით მოწამვლა, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა; დარიშხანით მოწამვლა, კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა. მცენარეული შხამები; სოკოებით ინტოქსიკაცია (ტიპები, კლასიფიკაცია, დიფ. დიაგნოსტიკა, მკურნალობა; ტრანკვილიზატორებით, ფენოთიამინებით, მულტიციკლური ანტიდეპრესანტებით მოწამვლა, დიფ. დიაგნოსტიკა, კლინიკა, მკურნალობა; შაბიამნით მოწამვლა, მკურნალობის სპეციფიკ; ცხოველური შხამებით ინტოქსიკაცია (გველის შხამები, მორიელის შხამი, ფუტკრის შხამი), კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა; ეგზოტოქსიური შოკისა და ანაფილაქსიური შოკის დიფ. დიაგნოსტიკა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0380, MCB0410 – ფარმაკოლოგია.**

MCB0800 კლინიკური ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია-2 (6 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კლინიკური ფარმაკოლოგიის ამოცანები, ახალი სამკურნალო საშუალებების კლინიკური კვლევის ეტაპები; სამედიცინო დეონტოლოგიის საკითხები, სამკურნალო საშუალებების გამოყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, სამკურნალო საშუალებები ზოგადი და ადგილობრივი ანესთეზიის დროს, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა ფარმაკოთერაპია. სამკურნალო საშუალებები ჰემატოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ; ანტიბიოტიკები მათი ჯგუფები და გამოყენების ჩვენებები; ჰორმონები, მათი გამოყენება კლინიკურ ფარმაკოლოგიაში; ვიტამინები, ფერმენტები მათი კლასიფიკაცია, გამოყენება; ონკოავადმყოფების მკურნალობის თავისებურებები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MSB0800 კლინიკური ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგია-2.**

MCB0660 სამედიცინო დეონტოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია-1 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამედიცინო ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები, სამედიცინო ფსიქოლოგიის კავშირი ფილოსოფიასთან, ფსიქიატრიასთან და სხვა სამედიცინო დისციპლინებთან, ძირითადი მეთოდოლოგიური წინამძღვრები. ფსიქიკური აპარატი. მისი განვითარების ეტაპები. ფსიქიკის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურები. ფსიქიატრიული დაწესებულებანი და მათი როლი (სტაციონარული, ამბულატორიული), ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაცია; ფსიქიკის სფეროები. ზოგიერთი ცნებები ფსიქოპათოლოგიიდან. ფსიქიკურ სფეროთა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები. სწავლება პიროვნების, უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ; ალქმის პათოლოგია, მეხსიერების პათოლოგია; აზროვნების პათოლოგია, ცნებები, აკვიატებული აზრები. ბოდვითი იდეები, ზედირებულოვანი იდეები, ბოდვისმაგვარი ფანტაზიები; ემოციური სფეროს პათოლოგია, ნებითი სფეროს პათოლოგია, მიზიდულობა და მისი პათოლოგია. ყურადღების პათოლოგია, ცნობიერების პათოლოგია, ფსიქოპათოლოგიური სინდრომები. სულით დაავადების არსებითი ნიშნები. ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაციის საკითხები. ფსიქიკურ ავადმყოფთა მკურნალობის ზოგადი პრინციპები, მკურნალობის მეთოდები, რეაბილიტაციის საკითხები. ავადმყოფის ფსიქოლოგია (სომატური, ქირურგიული და სხვა.) ფსიქოსომატური და სომატოფსიქიკური აშლილობები. ფსიქიატრიული კრიზისული სიტუაციები; ექიმი და ავადმყოფი. სამედიცინო ეთიკისა და დეონტოლოგიის საკითხები. ფსიქოთერაპია; შიზოფრენია, ეთიოპათოგენეზი, ფორმები. მკურნალობა; მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, ენდორექტიული დეპრესია, კლინიკა, ფორმები, მკურნალობა. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NCB0090, NCB0120 – ბიოქიმია; MCB0520, MCB0550 – პათოლოგიური ფიზიოლოგია.**

MCB0650 სამედიცინო დეონტოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია-2 (2 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გერენტოლოგიის და გერიატრიის პრობლემები; სისხლძარღვოვანი მოხუცებულობითი ფსიქოზები. ეპილეფსია, კლინიკა (ფსიქიკური გამოვლინებანი, ექვივალენტები) მკურნალობა; თავის ტრავმული დაზიანებებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობები, ოლიგოფრენია, ენდოკრინოპათიები. სომატოგენიები. მწვავე და ქრონიკული ინფექციური

ფსიქოზები.; ალკოჰოლიზმი, კლინიკა, მკურნალობა; ალკოჰოლური ფსიქოზები. ნარკომანია, ტოქსიკომანია, ინტოქსიკაციური ფსიქოზები. ფსიქოგენიები, რეაქტიული ფსიქოზები, ნევროზები, ფსიქოპათიები, კლინიკა, მკურნალობა პროგნოზი, შრომითი სასამართლო და სამხედრო ექსპერტიზის საკითხები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0660 – სამედიცინო დენტოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია-1.**

MCB0250 ინფექციური სნეულებანი-1 (4 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მწვავე ნაწლავური ინფექციები, შიგელიოზი, ეშერიხიოზი, ენტემოინვაზიური ეშერიხიოზი, სალმონელოზი, მუცლის ტიფი, პარატიფი, ქოლერა, დისბაქტერიოზი; ჰაერწვეთოვანი ინფექციები, გრიპი, პარაგრიპი, ადენოვირუსული ინფექცია, წითელა, წითურა, ვირუსული ჰეპატიტები; ჰერპესვირუსი, მარტივი ჰერპესი, ჩუტყვავილა, ციტომეგალოვირუსული ინფექცია, ინფექციური მონონუკლეოზი; შიდსი, პაროტიტული ინფექცია, ცოფი; ქლამიდიოზი, მიკოპლაზმური ინფექცია. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NBB0710 – მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია-2.**

MCB0270 ინფექციური სნეულებანი-2 (3 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მენინგოკოკური ინფექცია, მენინგოკოკემია, მენინგოკოკური მენინგოენცეფალიტი, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; ყვიანახველა, დიფტერია, ცხვირის, კანის დიფტერია, დიფტერიის კომბინირებული ფორმა, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; იერსინიოზი, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; ბრუცელოზი, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; ლეიშმანიოზი, მალარია, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; ტოქსოპლაზმოზი, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; ჰელმინთოზები, ასკარიდოზი, ტრიხოცეფალოზი, ტრიქინელიოზი, ოლპისტორქოზი, ეტიოპათოგენები, დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობა; კანდიდოზები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: MCB0250 – ინფექციური სნეულებანი-1.**

MCB0330 ლაბორატორიული მედიცინა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სისხლის საერთო ანალიზის და შარდის კლინიკური გამოკვლევა; კუჭის წვენის და თორმეტგოჯა ნაწლავის შიგთავსის გამოკვლევა. ექსუდატი და ტრანსუდატი; თავ-ზურგ ტვინის სითხის და ნახველის ლაბორატორიული გამოკვლევა; ცილის შემცველობა სისხლში, არაცილოვანი აზოტშენაერთები; ნახშირწყლების და მისი შემცველი ნაერთების გამოკვლევის მეთოდები; ლიპიდური და პიგმენტური ცვლის კლინიკური მნიშვნელობა; ფერმენტები და არაორგანული ნაერთები; მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის მაჩვენებლები; სისხლის შედედების სისტემის გამოკვლევის მეთოდები; ჩიყვის ჰორმონებისა და ჰეპატიტების მარკირებების გამოკვლევები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: NCB0090, NCB0120 – ბიოქიმია; MCB0520, MCB0550 – პათოლოგიური ფიზიოლოგია.**

MCB0230 ინტენსიური პრაქტიკული ბლოკ-კურსი: ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია. (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დიფერენციალური დიაგნოზის არსი მკურნალობის ოპერაციული მეთოდები და მათი ფიზიოლოგიური დასაბუთება. თიაქრები: საზარდულის, ბარძაყის, თეთრი ხაზის, ჭიპის, ოპერაციის შემდგომი ვენტრალური, დაცურებული თიაქარი, რეციდიული თიაქარი, თიაქრების გართულებები: თიაქრის ჩაჭედვა, ჩაჭედვის სახეები. ჩაუსწორებელი თიაქრები. აპენდიციტი: მწ. აპენდიციტი, მისი გართულებები. ქრონიკული აპენდიციტი. აპენდექტომიის შემდგომი გართულებები. კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის დაავადებები: წყლულოვანი დაავადება, გართულებები პენეტრაცია, პერფორაცია, სისხლდენა, სტენოზი, გასტრული ტეტანია, წყლულის მალიგნიზაცია. კუჭის კიბო. ღვიძლის დაავადებები. ნაღვის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებები: სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადება, მწვ. და ქრონიკული ქოლეცისტიტი. ქოლემია და აქოლია, ქოლანგიტი. კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები: მწვ. და ქრონიკული პანკრეატიტი. ნაწლავთა გაუვალობა: მსხვილი ნაწლავის კიბო და ა.შ. ორსულობის პირველი და მეორე

ნახევრის გართულებები და მკურნალობის საშუალებები, გადაუდებელ შემთხვევებში ინტენსიური მკურნალობის სტანდარტული სქემების განხილვა; მშობიარობის ბიომექანიზმების შედარებითი ანალიზი და მშობიარობის მართვის თავისებურებების განხილვა (თითოეულ შემთხვევაში სამეანო კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შედგენის ტიპური სქემების შემუშავება). ვაკუუმექსტრაქციის, მაშის დადების ოპერაციის, კრანოტომიის, ცოვიანოვის წესებით ხელდახმარების და საკეისრო კვეთის ოპერაციის ჩვენების, პირობების, ტექნიკის დეტალური აღწერა და ასისტენცია ოპერაციებზე. ადრეული და მოგვიანებითი ლოგინობის ხანის გართულებათა დიაგნოსტიკის საშუალებების განხილვა, პაციენტთან დამოუკიდებელი მუშაობა, მესამე პერიოდის მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომები. **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** MCB0890 – ჰოსპიტალური ქირურგია-2, MSB0370 მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია -4.

არჩევითი კურსი – 1 (2,5 კრედიტი)

NBB0730 ეკოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკოლოგიის რაობა; ეკოლოგიური ფაქტორების ზოგადი დახასიათება; აბიოტური ფაქტორები და მათი კლასიფიკაცია: ტემპერატურა, ტენიანობა, მზის სხივური ენერჯია, ედაფური ფაქტორები; წყლის გარემო; ატმოსფერული ჰაერი; ბიოტური ფაქტორები; ბიოცენოზი; ბიოგეოცენოზი, ეკოსისტემა, ეკოსისტემის ენერგეტიკა და პროდუქტიულობა.

MCB0091 ბიოეთიკა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სამედიცინო მუშაკის პროფესიული საიდუმლო (ექიმი, ფარმაცევტი და ავადმყოფი); სამედიცინო დოკუმენტაციის მნიშვნელობა; კლინიკური ტრანსპლანტოლოგია და ბიოეთიკა; ადამიანზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარების ეთიკური პრობლემები; ეუგენიკა და აგნოსტიციზმი.

არჩევითი კურსი – 2 (2,5 კრედიტი)

SFB0331 ფილოსოფია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ემპირიზმი და რაციონალიზმი; ბეკონისა და დეკარტეს მეთოდთა თავისებურებები; ირაციონალიზმის დაფუძნება (კირკეგორი, შოპენჰაუერი); პოზიტივიზმი, ნეოკანტიანელობა და ჰეგელიანობა; გნოსეოლოგია, ონტოლოგია და ესხატოლოგია (ნ. ბერდიაევი).

SWB0251 პოლიტოლოგია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტიკური აზროვნების განვითარების ეტაპები; პოლიტიკური ხელისუფლება; პოლიტიკური კულტურა და ელიტა; ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ურთიერთქმედება; პოლიტიკური კონფლიქტები და მათი მოწესრიგების გზები; დემოკრატიის არსი და დამკვიდრების ასპექტები; დემოგრაფიული პროცესები და დემოგრაფიული პოლიტიკა; სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ.

SHB0191 საქართველოს ისტორია

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო, ბრინჯაოს ხანის კულტურები საქართველოში; მსოფლიო პირველყოფილი რელიგიები და საქართველო; ბრძოლა კულტურული და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, აღმოსავლეთის ზეგავლენა საქართველოს ისტორიაზე; ქართული ევროპეიზმი ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ; რუსულ-ქართული ურთიერთობები, უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილები: XXI საუკუნე – პერსპექტივები და საფრთხეები.

უცხო ენა – 1 (5 კრედიტი)

(HSB0430 რუსული ენა-1, HEB0290 ინგლისური ენა-1, HFB0660 ფრანგული ენა-1, HFB0680 გერმანული ენა-1)

კურსი მოიცავს უცხოენოვანი ტერმინოლოგიის ათვისებას შემდეგ თემებზე: სტუდენტის სამუშაო დღე; პროფესია; ადამიანი; სამედიცინო ტერმინოლოგია; ადამიანის ანატომია; გულის აგებულების ტოპოგრაფიის და ფუნქციების განხილვა სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი წრის ელემენტები. საჭმლის მომნელებელი სისტემის განხილვა, გამომყოფი სისტემის განხილვა, სასუნთქი სისტემის განხილვა, ენდოკრინული სისტემა. ფარმაცევტული ბიზნესი; ფარმაკოეკონომიკა; აფთიაქი; ფარმაკოთერაპია; ფარმაკოკინეტიკა, ტრანქვილიზატორები; ნეიროლეპსიური საშუალებები; ანტიკონვულსანტები; პარკინსონის დაავადების სამკურნალო საშუალებები; ანტიდეპრესანტები; ნარკოტიკული ანალგეტიკები.

უცხო ენა – 2 (5 კრედიტი)

(HSB0440 რუსული ენა-2, HEB0300 ინგლისური ენა-2, HFB0670 ფრანგული ენა-2, HFB0690 გერმანული ენა-2)

კურსი მოიცავს უცხოენოვანი ტერმინოლოგიის ათვისებას შემდეგ თემებზე: ცალკეული ნოზოლოგიების ფარმაკოთერაპია; გასტრიტები; წყლულოვანი დაავადება; ქოლეცისტიტები; პანკრეატიტები; ენტეროკოლიტი; დისბაქტერიოზი; გლომერულონეფრიტი; პიელონეფრიტი; ნეფროლითიაზი; შაქრიანი დიაბეტი; ჰიპო- და ჰიპერთირეოზი; სამკურნალო საშუალებების დახასიათება ჯგუფების მიხედვით: არანარკოტიკული ანალგეტიკები; ანტიანგიონალური საშუალებები; ათეროსკლეროზის სამკურნალო საშუალებები; დიურეტიკები; იმუნოსტიმულატორები და ანტიმიკრობული საშუალებები; წამალთა ტექნოლოგია (სტერილური ხსნარების დამზადების სპეციფიკა). **კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: HSB0430 რუსული ენა-1, HEB0290 ინგლისური ენა-1, HFB0660 ფრანგული ენა-1, HFB0680 გერმანული ენა-1.**

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.